ეროვნული ბიბლიოთეკა


# ახალი ლეჩხუმი

პირველად იყო სიტყუა, და სიტყუა იყო ღმერთთან და სიტყუა იყო ღმერთი

*იოანეს სახარება*

რაიონის გამგეობისა და საკრებულოს ორგანო

რეგისტრაციის ნომერი: №57/1-180

მაის-ივნისი №11 (5) ფასი 30 თეთრი




დამოუკიდებლობა ჩვენთვის მხოლოდ ერთი გა-გებითაა რეალური ბრძოლის საგანი და ამოცანა, როგორც საშუალება იმისა, რომ ჩვენი თავი და-ვინახოთ, ჩვენს თავში ჩავიხედოთ, სინამდვი-ლეში რა ვართ, რა შეგვიძლია, რას ვგრძნობთ და რას ვფიქრობთ. დამოუკიდებლობა, უპირვე-ლეს ყოვლისა, ჩვენი ჯანსაღი ცნობიერების, ჯან-საღი მოქალაქეობრივი აზროვნების პირობაა.

მერაბ მამარდაშვილი.

## ცაგერში დაფუძნდა თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ფილიალი

მადლობა ღმერთს, ამ შეჭირვების ჟამსაც არიან ადამიანები, რომელთათვის არ არის სულ ერთი ჩვენ ახალგაზრდობის განსწავლულობა და ინტელექტი, ხვალინდელი დღე და მერმისი, ოცდამეერთე საუკუნის საქართველოს ბედი...

აგერ უკვე 7 წელიწადია საქართველოს პარლამენტის წევრის ბატონ კარლო მუშკუდიანის ინიციატივითა და ძალისხმევით ცაგერში მოქმედებს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უფასო მოსამზადებელი განყოფილება, ასობით ლეჩხუმელმა ახალგაზრდამ მიიღო ან იღებს უმაღლეს ტექნიკურ განათლებას...

...და ამ დღეებში კიდევ ერთი ფასდაუდებელი, საშვილიშვილო საქმე გაკეთდა ლეჩხუმში,—ცაგერში გაიხსნა თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის ფილიალი...

...ყველაფერი კი ასე დაიწყო: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორს, პროფესორ ავთანდილ სილაგაძეს გაუჩნდა იდეა ლეჩხუმში, კონკრეტულად ცაგერში დაეფუძნებინა თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ფილიალი. იდეის განსახორციელებლად დიდი ბრძოლა და ძალისხმევა დასჭირდა. საჭირო იყო განათლების სამინისტროს, თავად პედაგოგიური უნივერსიტეტის რექტორატის, სხვა უწყებების, რესპუბლიკის პრეზიდენტის მხარდაჭერა და თანხმობა.

...მონდომება, ინიციატივა, დაჟინებითი ძიება საქმით დაგვირგვინდა. საქართველოს განათლების მინისტრის 2001 წლის 17 იანვრის ბრძანების საფუძველზე ცაგერში ფუნქციონირება დაიწყო თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ფილიალმა (დასაწყისისათვის ფასიანი განყოფილება).

დამტკიცდა ფილიალის სპეციალობათა ნუსხა (დაუსწრებელი განყოფილება):

ქართული ენა და ლიტერატურა;

ისტორია სამართალმცოდნეობის სპეციალიზაციით;

დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა;

განათლების ეკონომიკა და მენეჯმენტი;

სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკა და ფსიქოლოგია.

ფილიალს მიენიჭა იურიდიული პირის სტატუსი. დამტკიცდა სამეთვალყურეო საბჭო შემადგენლობით: პროფესორი ავთანდილ სილაგაძე—ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი—თავმჯდომარე; ონერ ნემსწვერიძე—ცაგერის რაიონის გამგებელი; ზურაბ ხეცურიანი—საკრებულოს თავმჯდომარე, გულივერ ბრეგვაძე ცაგერის რაიონის განათლების განყოფილების გამგე; დოცენტი ანზორ ბენიძე—საქართველოს განათლების სამინისტროს დეპარტამენტის თავმჯდომარე—მოადგილე; დავით ლიპარტელიანი—ლენტეხის რაიონის გამგებელი; ბადრი ქარდავა—ლენტეხის რაიონის განათლების განყოფილების გამგე.

ფილიალის დირექტორად დაინიშნა ისტორიული მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვალერიან ბენიძე და შეყვანილ იქნა უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობაში.

სტუდენტთა სწავლების საფასური 2001-2002 სასწავლო წლისათვის განისაზღვრა 120 აშშ დოლარით ეროვნულ ვალუტაზე გადაყვანით (თითოეული სტუდენტისათვის). საჭიროების შემთხვევაში მოსამზადებელი კურსების მსმენელთათვის 30 აშშ დოლარი შესაბამისად ეროვნულ ვალუტაზე გაანგარიშებით. ყოველი შემდგომი სასწავლო წლისათვის სწავლების საფასური განისაზღვრება რექტორატთან შეთანხმებით.

ბრძანების, რომელსაც ხელს აწერს თბილისის სულხან-საბა ორბელიანი სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის რექტორი ბატონი ვახტანგ სართანია, საფუძველი გახდა საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში ბატონი ირაკლი ფრუიძის 2000 წლის ნოემბრის წერილი საქართველოს პრეზიდენტის რეზოლუციით, საქართველოს განათლების მინისტრის ბატონ ალექსანდრე კარტოზიას ბრძანება და უნივერსიტეტის საბჭოს გადაწყვეტილება.

ჯ ჯ ჯ

შევხვდით და ვესაუბრეთ თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ცაგერის ფილიალის დირექტორს პროფესორ ვალერიან ბენიძეს მოვუსმინოთ:

ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა გაზეთის საშუალებით მადლობ ვუთხრა ამ საქმის ჩამფიქრებელსა და ფრთების შემსხმელს პროფესორ ავთანდილ სილაგაძეს, რაიონის ხელმძღვანელებს ბატონ ონერ ნემსწვერიძის თავკაცობით მხარდაჭერისა და პრაქტიკული დახმარებისათვის, პრეზიდენტის რწმუნებულს ბატონ ირაკლი ფრუიძეს დაუზარელი დახმარებისათვის, პედაგოგიური უნივერსიტეტის რექტორს პროფესორ ვახტანგ სართანიას, განათლების მინისტრს ბატონ ალექსანდრე კარტოზიას. ამ საშვილიშვილო საქმის წარმატებით დაგვირგვინებისათვის. მინდა მივულოცო ლეჩხუმელებს, და არა მარტო ლეჩხუმელებს უმაღლესი სკოლის დაფუძნება ცაგერში პედაგოგიური უნივერსიტეტის ფილიალის სახით.

პირველ ეტაპზე სწავლება იქნება ფასიანი და იგი შეადგენს 120 ამერიკულ დოლარს ჩვენს ეროვნულ ვალუტაზე გადაყვანით, რაც ჩემის აზრით, გაცილებით შეღავათიანი საფასურია, ვიდრე ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში. ვნახოთ, სამომავლოდ შეიძლება ეს საფასური კიდევ უფრო შევამციროთ.

(გაგრძელება მე-2 გვ-ზე)

## ინფორმაცია

ჯ ჯ ჯ

**რაიონის გამგეობაში**

2001 წლის 7 ივნისს გაიმართა ცაგერის რაიონის გამგეობის მორიგი სხდომა, რომელსაც ხელმძღვანელობდა რაიონის გამგებელი ბატონი ონერ ნემსწვერიძე.

სხდომამ განიხილა საკითხი რაიონში მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების ამოღების შესახებ (ცაგუ ახვლედიანი)

აღინიშნა, რომ კატასტროფული მდგომარეობაა ელექტროენერგის გადასახადის ამოღების საქმეში. მკაცრად იქნა გაფრთხილებული შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელები, რომელთაც დაევალათ ამ საქმეში წესრიგის დამყარება.

სხდომამ დაადგინა: შედგეს შესაბამისი გრაფიკი და ამის თაობაზე მოსახლეობას ეცნობოს ტელევიზიით.

საკითხი: „2000 წლის შემოდგომაზე საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მოქალაქეთა გაწვევის შედეგებისა და 2001 წლის საგაზაფხულო გაწვევის ორგანიზებულად მოწყობის შესახებ“ შემოიტანა რაიონის კომისარმა კობა კოპალიანმა. სხდომამ დასახა ღონისძიებანი შეიარაღებულ ძალებში ახალგაზრდობის გაწვევის საქმეში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

სხდომამ განიხილა აგრეთვე საკითხები.

1. „შპს №16 საგზაო-საექსპლოატაციო სამმართველოსათვის საქმიანი ეზოს მიწის ფართობის შემცირების შესახებ“.

2. „საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს 2001 წლის 26 აპრილის №2-65 ბრძანების შესაბამისად, რაიონში არსებული ვენახების ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ“. (შემოიტანა შერაგ. ყვირილიანმა).

რაიონის ვეტერინარმა დურმიშხან დავითულიანმა სხდომას წარუდგინა ინფორმაცია, რომ ლეჩხუმის ზოგიერთ სოფელში იფეთქა ცხოველთა ინფექციურმა დაავადებამ ყაპუმ (ჭიჭყინა) და საჭიროა გადაუდებელი ვაქცინაცია.

ალვის 9 წლიან სკოლას სხდომის გადაწყვეტილებით მიენიჭა გამოჩენილი სამხედრო და საზოგადო მოღვაწის გიორგი გაბრიელის ძე ყურაშვილის სახელი.

# ცაგერში დაფუძნდა იბერიის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ფილიალი

**(დასასრული)**

ჩვენი დიდი სურვილია, პარალელურად წავუბიძგოთ ნიჭიერ ახალგაზრდებს დისერტაციებისკენ, რათა მომავლისათვის გვყავდეს ადგილობრივი კადრები.

ბუნებრივია, დაგაინტერესებთ პროფესურის მოზიდვის საკითხი. რაკი დაუსწრებელი განყოფილებაა, ვიძლევი გარანტიას, რომ ლექციებს წაიკითხავენ ცნობილი მეცნიერები, დოქტორები, პროფესორები. ყველაფერს გავაკეთებ რათა სწავლების ხარისხი არაფრით ჩამოუვარდებოდეს სხვა უმაღლესი სასწავლებლების დონეს.

სპეციალობები იცით, რაც შეეხება მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, განვთავსდებით ცაგერის პროფტექნიკურ კოლეჯში, ისე რომ ხელი არ შეეშლება იქ მიმდინარე სასწავლო პროცესს. შენობის სარემონტო თანხები უკვე გამოიყო.

მისაღები გამოცდები ჩატარდება მთელი სიმკაცრით, რა თქმა უნდა, კარგი გაგებით. თითოეულ სპეციალობაზე მიიღება 20-30, სულ კი 120-125 აბიტურიენტი.

განზრახული გვაქვს 2 საგანში მოეწყოს გამოცდა. ყველა სპეციალობაზე ჩატარდება გამოცდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა), ისტორია-სამართალმცოდნეობის სპეციალიზაციით და სკოლამდელი აღზრდის სპეციალობებზე მეორე საგანი იქნება საქართველოს ისტორია, განათლების ეკონომიკისა და მენეჯმენტის, დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის სპეციალობებზე—მათემატიკა. ვფიქრობთ, მოქმედი და აგრეთვე უდიპლომო პედაგოგები ჩავრიცხოთ გასაუბრების წესით. საგნობრივ კომისიებში პროფესორებთან ერთად ჩაერთვებიან ადგილობრივი პედაგოგ-მასწავლებლები.

დაინიშნა ფილიალის დირექტორის მოადგილეები (ბატონი ჯიბილო მიქაძე, ბატონი დავით კოპალიანი).

✕ ✕ ✕

ის დღე ამაღლებული იყო ლეჩხუმელთათვის და არა მარტო მათთვის. ბევრი სტუმარი ჩამოვიდა 8 ივნისს ცაგერში, რათა საზეიმო ვითარებაში მიელოცათ მასპინძელთათვის თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის ფილიალის დაფუძნება. კულტურის სახლში დიდძალი ხალხი მოვიდა.

ფილიალის გახსნისადმი მიძღვნილი საზეიმო შეხვედრა გახსნა ცაგერის რაიონის გამგებელმა ბატონმა ონერ ნემსწვერიძემ.

ამ დიდი საშვილიშვილო საქმეს,—აღნიშნა გამგებელმა, გასულ წელს ჩაეყარა საფუძველი. იდეის ავტორის ბატონ ავთანდილ სილაგაძისა და მხარის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბატონ ირანკლი ფრუიძის ძალისხმევით ეს საკითხი ქვეყნის პრეზიდენტის დონეზე გადაწყდა, განათლების მინისტრის ბატონ ალექსანდრე კარტოზიასა და სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის პედაგოგიური უნივერსიტეტის რექტორის ბატონ ვახტანგ სართანიას მხარდაჭერის შედეგია, რომ დღეს ჩვენ ამ დარბაზში ვზეიმობთ აღნიშნული ფილიალის გახსნას. მადლობა მათ.

ლეჩხუმლებო და სტუმრებო! მინდა გულწრფელად მოგილოცოთ ესოდენ მნიშვნელოვანი დღე. ჩვენს საზოგადოებას კარგად აქვს რა გაცნობიერებული ეს დიდი სიკეთე, გპირდებით, ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ფილიალი ერთ-ერთი საუკეთესო იყოს და დიდი მისია პირნათლად შეასრულოს.

შენობა, რომელშიც ამ სასწავლებელმა დაიდო ბინა, თავისი მნიშვნელობით ხომ ისტორიულია. მარტო იმის აღნიშვნაც საამაყოა, რომ აქ სწავლობდა ჩვენი სათაყვანებელი ლადო ასათიანი.

მაქვს პატივი საქართველოს პარლამენტის წევრის, ცაგერის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის ბატონ კარლო მუშკუდიანის სახელით მოგესალმოთ, მადლობა გადაგიხადოთ და ბოდიში მოგიხადოთ იმის გამო, რომ პარლამენტში შექმნილი მდგომარეობის გამო მან ვერ მოახერხა დღევანდელ ღონისძიებაში მონაწილების მიღება.

შეხვედრაზე სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს განათლების მინისტრი ბატონი ალექსანდრე კარტოზია, პრეზიდენტის რწმუნებული ბატონი ირაკლი ფრუიძე, განათლების სამინისტროს წარმომადგენელი, ცაგერის საშუალო სკოლის ყოფილი დირექტორი ქალბატონი მანანა გორგასლიძე, ცაგერის საშუალო სკოლის დირექტორი ქალბატონი ნუნუ ჩაკვეტაძე, თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის რექტორი ბატონი ვახტანგ სართანია, ცაგერის საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე მარიკა ჩაკვეტაძე, ფილიალის დირექტორი ბატონი ვალერიან ბენიძე, თბილისისი სახელმწიფო უნივერსიტეტის პროორექტორი ბატონი ავთანდილ სილაგაძე.

შეხვედრა საოცრად ვალალამაზა და დატვირთა უზადოდ შესრულებულმა დღესასწაულმა, ტრადიციამ, კომბინაციამ, ცეკვამ. სიმბოლურია იგი—რომ მერიოდად შეხვედრაზე მოსწავლეახალგაზრდობამ, ფილიალის ხვალინდელმა სტუდენტებმა წარმოადგინეს თავიანთი ხელოვნება და ამით გამოხატეს უდიდესი მადლიერება ყველასადმი, ვინაც თავისი წილი ჩადო ამ საშვილიშვილო საქმეში.

დარბაზში მოულოდნელი დადებითი მუხტი შემოიტანა ამბროლაურელი სტუმრის დათო სხირტლაძის მიერ ზურაბ კუხიანიძის ლექსის წაკითხვამ. მხურვალე ოვაციით გააცილეს შეხვედრის მონაწილეებმა იგი სცენიდან.

✕ ✕ ✕

მაშ ასე, თაკვერის ძირძველ მიწაზე კიდევ ერთი ინტელექტუალური კერა დაფუძნდა.

ერთხელ კიდევ გულწრფელი მადლობა ამ კეთილშობილური საქმის შემოქმედთ!

✕ ✕ ✕

**ფილიალი უკვე აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას, საბუთების შეტანა შეგიძლიათ ყოველდღე. მისაღები გამოცდები დაიწყება 14 აგვისტოს.**

**აქვე ვბეჭდავთ ექსკლუზიურ ინტერვიუებს სტუმრებთან.**

**მზევინარ ძნელაძე**

# საქართველოს განათლების მინისტრი ბატონი ალექსანდრე კარტოზია

**—ბატონო ალექსანდრე! როგორი განწყობა შეგიქმნათ ლეჩხუმში სტუმრობამ?**

—აღფრთოვანებული ვართ ამ ულამაზესი, უმშვენიერესი ბუნებით—ხალხი, რომელიც აქ ცხოვრობს, არის განსახიერება სილამაზის, ნიჭიერების, სულიერების მინდა, ყველას დიდი მადლობა მოგიხადოთ, ვინც მონაწილეობა მიიღო ამ დღესასწაულში, ვინაც მოაწყო ეს მშვენიერი ზეიმი და უნდა გითხრათ, რომ ასეთი ნიჭიერი ბავშვების ხილვა შემხთვევით არ ყოფილა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც აღტაცებას ვერ ვფარავ. აი, ახლა ბატონ მექი ყურაშვილს ვეუბნებოდი, რომ ეს არის ნამდვილი სამსახური და თავდადება ერისთვის, რასაც თვითონ და მისი ქალიშვილი, ქალბატონი რუსუდანი აკეთებენ.

**—ჩვენთვის თქვენი ჩამობრძანების მიზეზი ნაწილობრივ ცნობილია, გთხოვთ ლეჩხუმელი მკითხველისათვის დააკონკრეტოთ ვიზიტის არსი.**

—უნდა გითხრათ, რომ მიზეზი ჩვენი ჩამოვლის გახლავთ სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ფილიალის გახსნა ცაგერში. მიუხედავად დასავლეთ საქართველოს ბევრი ქალაქის სურვილისა და მონდომებისა, არჩევანი თქვენს რაიონზე შეჩერდა. ცხადია, ჰქონდა ამ აზრს საფუძველი. იმიტომ, რომ ვიცოდით რა პოტენციალია ლეჩხუმში, ლადო ასათიანისა და მირზა გელოვანის მხარეში, მინდა აღვნიშნო, თქვენი სასახელო მამულიშვილი მარშალი არჩილ გელოვანი, კაცი, რომლის შესახებ სრულიად ყველაფერი ჯერ კიდევ არ არის ნათქვამი. აგრეთვე, მსოფლიო მასშტაბის ადამიანი, უდიდესი მოაზროვნე, წარმოშობით ლეჩხუმელი, მერაბ მამარდაშვილი. ამ ყველაფრიდან გამომდინარე უნივერსიტეტის ფილიალის გახსნა შემხვევითი არ ყოფილა. თავისთავად ცხადია, რომ არსებობდა სუბიექტური ფაქტორიც, რომელმაც დიდი როლი ითამაშა. ეს იყო თანამიმდევრული დაჟინება და თავდადება სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორის ბატონ ავთანდილ სილაგაძისა, რომელიც ჩემი დიდი ხნის მეგობარია ჯერ კიდევ უნივერსიტეტიდან, გერმანიაშიც გარკვეული ხანი ერთად დავყავით. ეს ის კაცი გახლავთ, რომელიც ნამდვილად ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ იდეა განხორციელებულიყო. მინდა მივულოცო თითოეულ თქვენგანს ეს დღე. ვფიქრობ, რომ მართლაც ძალიან კარგ საქმეს ჩაეყარა საფუძველი, რომელსაც აქვს დიდი მომავალი, დიდი პერსპექტივა და მწამს, რომ ესეც ერთ-ერთი ხელისშემწყობი ფაქტორი იქნება ამ მხარის აყვავებისათვის, რაც მე მთელი სულითა და გულით მსურს.

**—მასწავლებლობა ლეჩხუმში, მართლაც, გმირობის ტოლფასია, თუ გვითვალისწინებთ თქვენს სამომავლო გეგმებში მთიანი რეგიონების პედაგოგთა მდგომარეობას და მათთვის დაუშვებთ რაიმე შეღავათს?**

—ყველაფერი, რაც გათვალისწინებულია განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტით, თანაბარზომიერად შეეხება ლეჩხუმსაც. რაც შეეხება დამატებით შეღავათებს, მთიანი რეგიონების კანონში იქნება შეღავათები, რა თქმა უნდა, ამ კუთხითაც. გარდა ამისა, თუ საუბარია სამინისტროსა და მინისტრის პირად კეთილგანწყობაზე, აქ შეგიძლიათ მშვიდად იყოთ, იმიტომ, რომ ეს მხარე სავსებით იმსახურებს ყოველნაირ სიმპათიას.

**— პედაგოგთა ხელფასების 1999-2000 წლების დავალიანების დაფარვა თუ გაქვთ პერსპექტივაში?**

—გასული წლების დავალიანების დაფარვასთან დაკავშირებით სრული პასუხისმგებლობით მინდა გითხრათ, რომ ფინანსთა მინისტრისაგან უფლებამოსილი ვარ და ამა წლის ივლისის თვიდან დაიწყება ძველი დავალიანებების ეტაპობრივი დაფარვა.

**—საბავშვო ბაგა-ბაღებზე რას გვეტყოდით, უნდა არსებობდეს თუ არა ლეჩხუმელი ბავშვებისათვის ბაღი?**

—ბაღებს რაც შეეხება, იყო საუბარი იმაზე, რომ გადაგვეცა ადგილობრივი ხელისუფლებისათვის. ასე ვთქვათ, ექსკლუზიური უფლებამოსილების სახით. მაგრამ, ამჯერად, თავი შევიკავეთ ამაზე ფიქრით და ვთვლით, რომ ამ ეტაპზე სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს და გააკეთოს ყველაფერი იმისათვის, რომ საბავშვო ბაღები არა თუ გადარჩნენ, არამედ სრულფასოვნად იარსებონ. ასე რომ ლეჩხუმში, ვფიქრობ, პრობლემა საბავშვო ბაღებთან დაკავშირებით აღარ იქნება.

**—დღევანდელ პირობებში მომრავლებულია კერძო სკოლები თუ გიმნაზიები. თქვენ როგორ ფიქრობთ, ასეთი მდგომარეობით ხომ არ იჩრდილება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების როლი და გნებავთ, ავტორიტეტი?**

—მე, საერთოდ, არა ვარ წინააღმდეგი კერძო სექტორის განვითარებისა. თუკი არსებობს თავისუფალი და ნამდვილი კონკურენციის ჯანსაღი გარემო. ამიტომ არ ვებრძვი, ასე ვთქვათ, ადმინისტრირებით არც კერძო სკოლა-გიმნაზიებს და არც უმაღლეს სასწავლებლებს, ოღონდ ხელოვნურად რომელიმე სკოლისათვის, იქნებ ეს კერძო თუ არასახელმწიფო, რაიმე სასათბურე პირობების შექმნის წინააღმდეგი ყოველთვის ვიქნები.

**—გმადლობთ.**

—გისურვებთ წარმატებებს.

**ეკა ყვირილიანი.**

# თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი ბატონი ავთანდილ სილაგაძე:

**მიუხედავად განთქმული ლეჩხუმური სტუმართმოყვარეობისა, ამ ბოლო წლებში სტუმართა მიღებით განებივრებული არ ვართ. ამის მიზეზი კი, ალბათ, ჭეყანაში შექმნილი მძიმე პირობებია. დღეს ჩვენი სტუმრები საინტერესო მისიით ჩამობრძანდნენ. განათლების მინისტრი ბატონი ალექსანდრე კარტოზია პირველადაა ჩვენს მხარეში. მასპინძლობას კი სტუმრებს ლეჩხუმელი, თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი, პროფესორი ავთანდილ სილაგაძე უწევს. მასპინძლის სურვილია, სტუმრებს გააცნოს ლეჩხუმი თავისი თვალწარმტაცი ბუნებით „სოფელი ბარდნალა თუ ციხე მურით", ლეჩხუმელი კაცის ინტელექტთა და სულიერებით. სწორედ ამიტომ იგი დროის სიმცირეს განიცდის. უნდა არაფერი გამორჩეს... ჩვენ განზრახული გვქონდა ვრცელი საუბარი ბატონ ავთანდილთან, მაგრამ ლეჩხუმური მასპინძლობა თავისას მოითხოვდა. ამიტომ ჩვენს რესპონდენტს რამდენიმე კითხვით მივმართეთ:**

**—თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ფილიალის გახსნა დიდი მოვლენაა ლეჩხუმის სინამდვილეში. ამ დიდი საქმის ინიციატორი კი თქვენ ბრძანდებით, ბატონო ავთანდილ! იქნება აღნიშნული უნივერსიტეტის ტრადიციების გამგრძელებული ცაგერის ფილიალი?**

—თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი დიდი ტრადიციების მატარებელია. ახალგახსნილმა ფილიალმა ეს ტრადიციები აუცილებლად უნდა გააგრძელოს. ეს მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ყველა ერთად დავდგებით და ვიმუშავებთ იმაზე, რომ ადგილობრივი კადრებით დაკომპლექტდეს უნივერსიტეტის ცაგერის ფილიალი.

**—ამ ეტაპზე ეს შეუძლებელია?...**

—რა თქმა უნდა, გარკვეული პერიოდის განმავლობაში მოწვეული კადრებით განხორციელდება სწავლება, ლექციებს წაიკითხავენ პროფესორები, დოცენტები, ხარისხიანი სპეციალისტები. მაგრამ ამასთან აუცილებელია, უახლოეს მომავალში ადგილობრივი კვალიფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტდეს ფილიალი. ამ მხრივ, დისერტაციის დაცვის მსურველებს დიდი შანსი ეძლევათ. ამ საკითხზე მუშაობაა საჭირო. 7-8 კვალიფიციური სპეციალისტიც საკმარისი იქნება. ისევ ვიმეორებ, მხოლოდ ერთად დგომით მოხერხდება ამ საქმის გაკეთება.

**—უნივერსიტეტის ფილიალის გახსნა უამრავ პრობლემებთან იქნებოდა დაკავშირებული. ამ დიდი წამოწყების განხორციელებაში ვინ გიდგათ გვერდით?**

—როგორც ბატონმა ალექსანდრე კარტოზიამ აღნიშნა, რამდენიმე რაიონში იყო მოთხოვნა ამ ფილიალის გახსნისა. მაგრამ არჩევანი ცაგერზე შეჩერდა. ამ საქმეში კი გვერდით განათლების მინისტრი ბატონი ალექსანდრე კარტოზია, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ბატონი ვახტანგ სართანია დაგვიდგა. რაც მთავარია, ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა საქართველოს პრეზიდენტმა.

**—ბატონო ავთანდილ! როგორც ცნობილია, დასაწყისისთვის სწავლება ფასიანია; სასწავლებლის პროგრამა ითვალისწინებს შეღავათებს?**

—ჯერჯერობით, ამ ეტაპზე შეღავათები არ იქნება. მაგრამ ვფიქრობთ, ვინც კარგად ისწავლის, გარკვეულ შეღავათებს გავუწევთ.

**—და ბოლოს...**

—იცით, რა? ბევრი განსახორციელებელი იდეა მაქვს...

**—გმადლობთ!**

—წარმატებებს გისურვებთ თქვენ და გაზეთ „ახალ ლეჩხუმს". მე მას პერიოდულად ვეცნობი.

**ესაუბრა ეკა ბენდელიანი**



# ჩვენო დაუვიწყარო მეგობარო!

ამბობენ,—დრო ყველაფრის მკურნალიაო, მაგრამ არა გვგონია ჩვენი ძვირფასი მეგობრის მურთაზ ჩაკვეტაძის ტრაგიკულ დაღუპვასთან მიმართებაში ეს ფრაზა მართებული იყოს. სრულიად ახალგაზრდა, მოულოდნელად წავიდა სულეთში და ძალიან დაგვწყვიტა გული, დაგვიტოვა უდიდესი ტკივილი, მაგრამ ტკივილთან ერთად თავისი ხანმოკლე სიცოცხლით დაგვიდასტურა, თუ როგორ უნდა იცხოვრო ამ ქვეყნად ადამიანმა და სამშობლოსათვის ზვარაკად შეწირული სიცოცხლე უფრო მეტია, ვიდრე იყო ამ ქვეყნად და „ცოცხალი მკვდარსა ემსგავსო“.

არა და ამ ახალგაზრდა ნიჭიერ კაცს, დაუდგრომელსა და მოუსვენარს, საქართველოს პარლამენტის წევრს, თავისუფლად შეეძლო თავი აერიდებინა ომის ბობოქარი დღეებისათვის, სხვებივით პირადი ცხოვრება მოეწყო, მაგრამ სამშობლოს სიყვარულმა, თანამოძმეთა დაღვრილმა სისხლმა და თავისმა დიდმა კაცობამ სხვანაირი უფლება არ მისცა. ის წავიდა იქ, სადაც ათასობით და ათი ათასოქით მისი მსგავსნი სამშობლოს გულისათვის სისხლის ღვრიდნენ, სიცოცხლეს სწირავდნენ, რადგან კარგად იცოდა ადამიანისათვის, ქართველისათვის უპირველესად მთავარი ის სახელია, რომელსაც შთამომავლობა სიამაყით გაიმეორებს.

ტრაგიკული იყო 1993 წლის სექტემბრის ის დღეები, როდესაც ტელევიზიით აფეთქებული თვითმფრინავის ნაშთებსა და დაღუპულებს აჩვენებდნენ, ჭორ-მართლად მაშინაც ვიცოდით ბატონი მურთაზის დაღუპვის ამბავი, მაგრამ კიდევ თავს ვიიმედებდით, ვფიქრობდით იქნებ გადაჩა, იქნებ ცოცხალია, ასე ფიქრობდა ოჯახი, ახლობლებიც, მეგობრებიც.

დღეს შენი დაკრძალვის დღეა ჩვენო ძვირფასო მეგობარო! ადამიანი [illegible] ჭირსა და ვარამს ადეკვატურ [illegible] ცხოვრების საიმედო [illegible] დება და ზოგჯერ დაუზოგავადაც ესწრაფვის მას, სიკვდილის შემდეგ რაც სასოწარკვეთილს გვაიმედებს და გვაცოცხლებს სწორედ ის განვლილი სიცოცხლეა, რომლითაც შენ იცოცხლე ჩვენო მურთაზ—კაცმა, რომელმაც ერთი წამით შეგვაჩერე ლამაზი სიცოცხლით, სამუდამოდ გადაინაცვლე ხსოვნის სამყაროში. შეუფასებელია ის მარტოობა, რაც ამ 8 წლის განმავლობაში დაგვაკელი ჩვენო კეთილო მეგობარო!. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული. მსუბუქი იყოს მშობლიური ლეჩხუმიდან ჩამოტანილი მიწა შენს საფლავზე.

**რაიონის გამგეობა**
**რაიონული საკრებულო**
**პარლამენტის ბიურო**

# მორალი და კანონი

**(ინტერვიუ ცაგერის რაიონის პოლიციის უფროსთან ბატონ მირიან მეშველიანთან)**



—რამდენი ხანია რაც პოლიციის უფროსის თანამდებობაზე მუშაობთ?

—დაახლოებით 5 წელი, 1996 წლიდან.

—რა საფეხურები გაქვთ გავლილი პროფესიული ხაზით?

—1991 წლიდან ვმუშაობთ პოლიციაში. ჯერ უბნის ინსპექტორად, შემდეგ სისხლის სამართლის სამძებროს ინსპექტორად, ამავე ხაზით ვმუშაობდი ქ. თბილისში, სპეცდანიშნულების რეგიონში. 1994-96 წლებში ქუთაისში, სამძებროს უბნის უფროსი ინსპექტორად (სისხლის საართლის) 1996 წლიდან გადმოვედი ცაგერის რაიონის კრიმინალური პოლიციის უფროსად, 1996 წლის ოქტომბრიდან დავინიშნე ცაგერის რაიონის პოლიციის უფროსად.

—რადენად რთულია ამ თანამდებობაზე მუშაობა, შორიდან უფრო ადვილი ხომ არ გეჩვენებოდათ?

—რა თქმა უნდა, უფრო რთულია, ვიდრე შორიდან ჩანს, თანაც დროც გართულდა, ამან შექმნა გარკვეული სირთულეებიც.

—როგორია პოლიციის სტრუქტურა?

პოლიცია იყოფა კრიმინალურ და ადმინისტრაციულ პოლიციად, კრიმინალურს ხელმძღვანელობს ამირან კვირიკაშვილი, ადმინისტრაციულს—რეზო ომანაძე.

თავის მხრივ ადმინისტრაციული პოლიციაში შედის საგზაო პოლიცია, ეკოპოლიცია, უბნის ინსპექტორების, საპასპორტო—სარეგისტრაციო სამსახურები; კრიმინალური პოლიციაში შედის სისხლის სამართლის სამძებროს სამსახური.

რამდენი თანამშრომელი ჰყავს პოლიციას?

—31 ოფიცერი და 14 რიგითი და ნებით დაქირავებული პირი.

როგორია კრიმინალური სიტუაცია რაიონში სადღეისოდ?

2001 წ. რეგისტრირებულია 17 დანაშაული, მათ შორის 11 არის გახსნილი.

აქედან სისხლის სამართლის ხაზით რეგისტრირებულია 11 დანაშაული, მათ შორის 10 გახსნილი.

ბოლო პერიოდში მომხდარ მძიმე დანაშაულობათაგან რომელს გამოყოფდით და რა კეთდება მის გასახსნელად?

—წელს ასეთი დანაშაული არ მომხდარა, გასულ წლებში გახლავთ მელსი ყურაშვილის მკვლელობის ფაქტი, ჯერჯერობით გაუხსნელია, მიმდინარეობს მუშაობა მკვლელობის გახსნისათვის.

—რამდენად შეთანხმებულად მუშაობთ სამართალდამცავები ცაგერის რაიონში.

—შეთანხმებულად ვმუშაობთ, სხვანაირად არ შეიძლება.

—თქვენი აზრით, იწვევენ თუ არა პოლიციელები იმედის, თანადგომის და პატივისცემის ასოციაციას, ანდა პირიქით, ხომ არ აღიზიანებენ საზოგადოებას?

—სამწუხაროდ, ჯერჯერობით უფრო აღიზიანებენ, ხალხს არ სჯერა პოლიციის. კარგი იქნებოდა მეტი პატივისცემა იყოს პოლიციელის შრომის მიმართ. პოლიციელს ბევრი უძილო ღამე აქვს, თუნდაც შეიარაღებული დამნაშავეებთან პირისპირ ბრძოლა.

—დღევანდელი სოციალური მდგომარეობის ფონზე პოლიციელის მდგომარეობა სხვებთან შედარებით უკეთესი ხომ არ გეჩვენებათ?

—არა, შეიძლება შორიდან ჩანს ასე, როცა მათ ცხოვრებას არ იცნობ, ხოლო თუ ჩაუღრმავდები, სიმართლე სხვაა. ოჯახური სოციალური პრობლემები ყველას გააჩნია, როგორც სხვებს. ზოგს წლიდან წლამდე ფეხსაცმლის შეძენის საშუალება არა აქვს, ფაქტობრივად ენთუზიაზმზე მუშაობენ.

გულწრფელად რომ გითხრათ, არიან ისეთი თანამშრომლებიც, რომლებიც შეცდომებს უშვებენ. იყო ორი-სამი შემთხვევა, როდესაც ამ შეცდომების გამო ისინი დავითხოვეთ განყოფილებიდან.

—ხე-ტყე—მთავარი ამოსავალი წერტილი, ამ საქმეში როგორ იკვეთება პოლიციის როლი, გავრცელებულია აზრი იმის შესახებ, რომ გატანილ ხე-ტყეში წილი უდევს პოლიციას.

ეს აზრი არ შეესაბამება სინამდვილეს.

ჩვენ გვქონდა გამშვები საკონტროლო პუნქტი, სადაც რაიონიდან გაშვებული ხე-ტყის და სათანადო დოკუმენტების შემოწმება ხდებოდა. ასეთი აზრი რომ არის გავრცელებული ჩემთვისაც ცნობილია, მეც მცირე ფაქტებს არ ვრიცხავ, მაგრამ რაც შეეხება მასიურ გატანას, საქმე სხვადასხვაგვარადაა, მე მათი ჩამოთვლაც კი შემიძლია.

—რა უჭირს ყველაზე მეტად დღევანდელ პოლიციას?

—ბოლო პერიოდში სამხარეო ხელისუფლებისა და რაიონის გამგებლის, ბატონ ონერ ნემსწვერიძის უშუალო დახმარებით ჩვენი განყოფილებისათვის ბევრი სასიკეთო რამ გაკეთდა.

გამოგვიყვეს საამშენებლო მასალები და ჩვენივე ძალებით, პოლიციელების უშუალო შრომით შევუდექით შენობის რემონტს, გაკეთდა გარეთა ხედი, ჩატარდა შიდა სამუშაოებიც.

გამოგვიყვეს ახალი ავტომანქანა „უაზი“, საწვავსაც გასულ წლებთან შედარებით უკეთესად გვაწვდიან.

კარგია გვქონდეს უკეთესი ტექნიკური აღჭურვილობა, გადამცემი. სატელეფონო საკითხი თითქმის მოუგვარებელია, კავშირი არ გვაქვს ალპანის ზონასთან, რაც აუცილებელია, ფორმაზეც გვიჭირს, რამდენიმე წელია რა მივვიღია.

საერთო მდგომარეობის ფონზე უკმაყოფილებას მაინც არ ვგრძნობთ, სამინისტრო საკმაოდ გვიჭერს მხარს.

—მორალურად როგორ გამოიყურება პოლიცია? როგორ უთავსებთ მორალს და კანონს. ემთხვევა თუ არა ისინი ერთმანეთს, კონკრეტულ შემთხვევაში რომელს ანიჭებთ უპირატესობას?

—ზოგიერთი საქმის გახსნა ბევრი კანონის შესწავლას მოითხოვს, თანამშრომლებიც მონდომებული არიან.

რაც შეეხება პირადად მე, მორალურ მხარეს ვაყენებ წინა პლანზე. ჩემთან შემოსულ ყველა შეწუხებულ ქალბატონში მე საკუთარ დედას ვხედავ, რადენად გამოვვდის, ეს ხალხმა განსაჯოს.

—მიგაჩნიათ თუ არა სწორად ოპერატიული ჯგუფებში ქალი პოლიციელის ჩართვა?

—ცაგერის პირობებში—არა. ეს იმდენად რთული სამსახურია, ქალისთვის ცოტა ზედმეტი დატვირთვა იქნება. ასეთი შემთხვევა ჯერჯერობით არც ყოფილა. გვყავს მხოლოდ ექსპერტ-კრიმინალისტი ქალი, რომელსაც საკმაოდ უჭირს სათანადო ტექნიკური აღჭურვილობის უქონლობის გამო.

—პოლიციელობა თქვენი ბავშვობის ოცნება იყო?

—არა, ბავშვობის ოცნება არ ყოფილა. უფრო იურისტობა შეიძლება ჩავთვალოთ ოცნებად. სხვათა შორის, სანამ პოლიციაში შემოვიდოდი, რესტორნის დირექტორად ვმუშაობდი, სწორედ იქედან წამოვედი დამნაშავეთა სამყაროსთან საბრძოლველად.

—თუ გაქვთ სურვილი, რომ თქვენი ერთადერთი ვაჟი ამ პროფესიას გაჰყვეს?

—უფრო მასზეა დამოკიდებული, რაც შემეხება მე, თუკი ის იქნება ისეთი, ვისაც შეიძლება ეცვას პოლიციელის მუნდირი, მხარს დავუჭერ, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი სირთულე შეხვდება.

—როგორს ისურვებდით. XXI საუკუნის პოლიციას?

—უზრუნველყოფილს ტექნიკურად, რაც გაგვიადვილებს მუშაობას, პოლიციაში მუშაობდნენ ღირსეული ადამიანები, ხალხის 90 პროცენტს მაინც რომ ეყვარება.

გმადლობთ.

**თამარ დავითულიანი**

# „ვიხილოდენ ძე ევაშემოსილი, ღიღი მოწამეთ გითა!“ (ხვამლობა)

ბოლო ორი კვირა ისეთი დახუნძლული იყო სხვადასხვა საეკლესიო დღესასწაულებით, ისეთი ამოუწურავია მათი განმარტება, ძნელია, რომელიმე გამოკვეთო. ერთი კვირის განავლობაში „ათორმეტ დღესასწაულთა“ შორის__ამაღლება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და სულთმოფენობა ვიზეიმეთ. ამასთან ჩვენი ეპარქიის მმართველმა და საკათედრო ტაძრის წინამძღვარმა ღირს მამა დავით გარაჯელს და წმიდა ნინოს შეავედრა ჩვენი ეპარქია. ძვირფასო მკითხველო! ჩვენი გაზეთის საშუალებით თქვენ ზოგადად ეცნობით ამ დღესასწაულთა არსსა და მნიშვნელობას. ამჟამად კი ჩვენი რელიგიური რუბრიკა ეძღვნება ხვამლობას (რომლის შესახებ ცნობები მწირია), რომელიც წელს 2 ივნისს იზეიმა სრულიად ლეჩხუმმა და არა მარტო ლეჩხუმმა... პირველად კი მინდა აღვნიშნო, რომ ხვამლობა მოძრავი დღესასწაულია, იგი აღინიშნება დიდი საეკლესიო დღესასწაულის__ სულთმოფენობის წინა დღეს__სულის შაბათს. ამის შესახებ კი შემდეგი თქმულებაა შემორჩენილი. ხვამლის სალოცავზე ბევრი ძვირფასი, სასწაულმოქმედი ხატი ბრძანდებოდა. მტერმა ამ სიწმინდეების ხელში ჩაგდება მოინდომა, რასაც მართლმადიდებელთა მხედრობა წინ აღუდგა და 1200 ქართველი შეეწირა სიწმინდეების დაცვისათვის ბრძოლას. სწორედ ამ დღეს ხდება ამ მიცვალებულთა მოხსენიება. აქედან გამომდინარე, ხვამლობა ამ დღეს აღინიშნება.

მთელი კვირის განმავლობაში თითოეული ლეჩხუმელის ოჯახში სადღესასწაულო ფუსფუსთან ერთად აფორიაქება შეიმჩნეოდა. იყო გადაძახილები: „ღმერთს ვეეედროთ, იქნება წვიმამ გადაიღოს და ხვამლამდე მივაღწიოთო“. ტაროსის შეცვლის იმედს ლეჩხუმელი კაცი ყოველთვის ხვამლზე ამყარებდა, ღვთისწყალობით ხვამლის მთის წვერზე, როგორც დიდი ილია ამბობს, „ხორცთუქმნელი მზის სხივი იგი უფლის ბრძანებით ზედ შეირჩენდა“.

ზევით აღვნიშნე, ამ დღესასწაულს არა მარტო ლეჩხუმელები ზეიმობენ მეთქი. მართლაც, იმ დღეს სტუმართა ბუმი იყო ცაგერში. ყველას კი რაჭველები ჭარბობდნენ, რომელთაც მეთა-

(გაგრძელება მე-6 გვ-ზე)



ჩვენი მკითხველისათვის ალბათ ცნობილია, რომ საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის პირველი მოადგილე რაჯა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთი მხარეში. საქართველოს მოქალაქეთა კავშირის საშხარეო ორგანიზაციის თავმჯდომარე ბატონი დავით დარახველიძე იმყოფებოდა დასავლეთ ევროპის რამდენიმე ქვეყანაში. ჩვენ დავინტერესდით ვიზიტის ხასიათითა და შედეგებით, ამიტომ ვთხოვეთ ბატონ დავითს ჩვენთვის და გაზეთის მკითხველისათვის გაეზიარებინა თავისი შთაბეჭდილებები.

**--ბატონო დავით, რასთან დაკავშირებით შედგა თქვენი ვიზიტი დასავლეთ ევროპაში, რომელ ქვეყნებში იყავით და რა მიზანს ემსახურებოდა თქვენი მოგზაურობა?**

--უპირველესად მინდა მოგესალმოთ გაზეთ „ახალი ლეჩხუმს“, ყველა ლეჩხუმელს და თქვენი გაზეთის მკითხველებს. ალბათ ბევრისათვის არ იქნებოდა ცნობილი, რომ ბოლო ერთი წლის მანძილზე მე გახლდით ევროპის საბჭოს თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლის მსმენელი.

ევროპის საბჭოს ეგიდით, საბჭოს გენერალური მდივნის ვალტერ შვიმერის და სხვა ხელმძღვანელების დახმარებით 1999 წლის ზაფხულში დაფუძნდა არასამთავრობო ორგანიზაცია „თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლა“__დემოკრატიული ინსტიტუტები და სამოქალაქო საზოგადოება“. სკოლას ეწოდა დიდი ქართველი მამულიშვილის სახელი. სკოლის დაფუძნების ორგანიზატორი, სულისჩამდგმელი და დირექტორი გახლავთ ახალგაზრდა ქართველი მეცნიერი, პოლიტიკოსი, საქართველოს პარლამენტის წევრი არმაზ ახვლედიანი.

თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლის მთავარი მიზანია საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული პროცესებისათვის ხელშეწყობა და მასში ახალგაზრდების აქტიური ჩაბმა. მათ შორის ახალი თაობის პოლიტიკოსების, ჟურნალისტების, ბიზნესმენების, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლების, მოსამართლეების, არასამთავრობო ორგანიზაციების წევრების, რომლებიც ახლებურად გაიზიარებენ დემოკრატიულ ღირებულებებსა და ჩვენი სახელმწიფოებრიობის მშენელობის აქტუალურ საკითხებს. სკოლის მთავარი პრინციპია__დაძლეულ იქნას თვითკმაყოფილების სინდრომი, გამომუშავდეს მუდმივი დემოკრატიული აუდიტის უნარი და სამოქალაქო ინიციატივების გაზრდით შეუქცევადი გახდეს ღია საზოგადოების მშენებლობის, სამოქალაქო ნდობის ამაღლების, დემოკრატიული განვითარების პროცესი საქართველოში.

სკოლამ პირველი სემინარები 2000 წლის ოქტომბერში წინანდალში გამართა, ხოლო მიმდინარე წლის თებერვალში წყალტუბოში შეკრიბა თავისი მსმენელები, ქართველი და უცხოელი ექსპერტები. მესამე და მეოთხე შეკრებები დაგეგმილი იყო ევროპის ქალაქებში რომსა და სტრასბურგში. დაგეგმილი იყო და შედგა კიდევაც. 10 მაისს ქართველ პოლიტიკოსთა ჯგუფი 41 კაცის შემადგენლობით ჩავფრინდით იტალიის დედაქალაქში, საიდანაც დაიწყო სკოლის დასკვნითი კონფერენციები და სემინარები.

**--ბატონო დავით, თუ შეიძლება ორიოდე სიტყვით გვითხრათ, როგორ მოხდა თქვენი ჩარიცხვა სკოლის მსმენელად?**

--მე რეკომენდაცია გამიწია ჩემმა მეგობარმა და ყოფილმა კოლეგამ, ყველასათვის კარგად ცნობილმა პიროვნებამ ზაზა დვალმა, რომელიც აგრეთვე არის ამ სკოლის მსმენელი, შემდეგ სკოლის დირექტორთან არმაზ ახვლედიანთან გასაუბრების შედეგად ჩავირიცხე. სამწუხაროდ, ზაზა მამის, ბატონი ჟორა დვალის მოულოდნელი გარდაცვალების გამო ვერ წამოვიდა დასკვნით სემინარებზე.

**--ვინ იყო ღონისძიების ორგანიზატორი? როგორ წარიმართა შეხვედრები?**

--რომში შედგა ორდღიანი კონფერენცია 11-12 მაისს თემაზე „ადამიანის უფლებები და რეგიონალური თანამშრომლობა კავკასიაში__საქართველოს როლი“. კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ რომის საერთაშორისო საქმეთა ინსტიტუტი, ბრიუსელის ევროპული პოლიტიკის შემსწავლელი ცენტრი და საქართველოს საელჩო იტალიაში. დაფინანსება განახორციელა ევროპის კომისიამ, ნატოს ინფორმაციისა და პრესის ოფისმა და ფონდმა „ღია საზოგადოება__საქართველო“.

# ბევრი გზა რომში მიდის

იტალიაში საქართველოს საელჩოში ოფიციალური მიღების შემდეგ, რომის საერთაშორისო საქმეთა ინსტიტუტში კონფერენციაზე სიტყვებით გამოვიდნენ სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები. ჩვენი დელეგაციის მხრიდან უაღრესად საინტერესო გამოსვლები ჰქონდათ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილეს გიორგი ბურდულს, საგანგებო საქმეთა მინისტრს მალხაზ კაკაბაძეს, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილეებს ნიკა ვაშაკიძეს და ქალბატონ რუსუდან ბერიძეს. ყოველი გამოსვლის შემდეგ იმართებოდა დისკუსია და უნდა გითხრათ, რომ ცალკეულ საკითხებზე უმწვავესი კამათი და აზრთა სხვადასხვაობა დაფიქსირდა. განსაკუთრებით კავკასიაში კონფლიქტების მოგვარებისა და სტაბილურობის ფაქტის ირგვლივ, აგრეთვე სახრეთ კავკასიაში ეთნიკური კონფლიქტების მოგვარების კონსტიტუციური ასპექტების თემებთან დაკავშირებით. უფრო დეტალური საუბარი ამ თემებზე ძალიან შორს წაგვიყვანს და ვფიქრობ საგაზეთო ინტერვიუში შეუძლებელია ყოველივეს გადმოცემა, ამიტომ აქ შევჩერდები.

**--თქვენ დაასახელეთ ჩვენი ხელისუფლების მნიშვნელოვანი ფიგურები. კიდევ ვინ არიან სკოლის მსმენელები?**

--როგორც დასაწყისში მოგახსენეთ სკოლის მსმენელთა შემადგენლობა მრავალფეროვანია. მე გითხარით ზაზა დვალის შესახებ. აქ არიან აგრეთვე ცნობილი პოლიტიკოსები: დავით ბერძენიშვილი, ირინა სარიშვილი-ჭანტურია, ჩვენი თანაკურსელი პარლამენტარი ფიქრია ჩიხრაძე. პარლამენტის აგრარული კომიტეტის თავჯდომარე ბეჟან გონაშვილი, ფრაქცია სოციალისტის თავმჯდომარე ირაკლის მინდელი, თბილსიის საკრებულოს ფრაქცია ედპ-ს თავჯდომარე ჯონდი ბაღათურია. მასმედიის წარმომადგენლები: ლევან ყუბანეიშვილი__საინფორმაციო პროგრამა „მოამბეს“ დირექტორი, გიორგი სანაია__ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის წამყვანი, მათე კირვალიძე__გაზეთ „ალია“, ია ანთაძე ჟურნალ „არილი“, სოზარ სუბელიანი რადიო „თავისუფლება“, მოსამართლეები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ა.შ.

**--სემინარების დასკვნითი ნაწილი როგორც გვითხარით სტრასბურგში გაიმართა.**

--დიახ, 12 მაისს საღამოს რომიდან ჩქაროსნული მატარებლით გავემგზავრეთ საფრანგეთში შვეიცარიის გავლით. მეორე დილით შვეიცარიის ქალაქ ბაზელში რამდენიმე საათით შეჩერების შემდეგ ავტობუსით ჩავედით სტრასბურგში და დავბინავდით ევროპის საბჭოს ახალგაზრდულ ცენტრში. 13 მაისის თავისუფალი პროგრამის შემდეგ 14 მაისს დილიდან დაიწყო ორდღიანი სემინარი თემაზე „საქართველო და მისი ურთიერობები ევროპულ ინსტიტუტებთან“.

სემინარი დაიწყო ევროპის საბჭოს პოლიტიკურ საქმეთა დეპარტამენტის გენერალური დირექტორის კლაუს შაუმანის გამოსვლით თემაზე „ევროპის საბჭოს პოლიტიკური როლი ევროპაში უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში“. ევროპარლამენტის წევრმა კატრის ლალუმიერმა წაიკითხა ლექცია. „ევროპა და კავკასია“. ევროპის საბჭოს სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის დირექტორმა ჟან-ლუი ლორანმა__„საქართველო ევროპაში“ და ა.შ.

ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო იყო შეხვედრა ევროპის სასამართლოში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოზე პრეზიდენტთან ლუზიუს ვილდჰაბერთან. შეხვედრა შედგა ადამიანის უფლებათა დარბაზში. ლექცია თემაზე „საქართველო და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო“. --წაიკითხა მინდია უგრეხელიძემ, რომელიც როგორც მოგეხსენებათ არის ევროსასამართლოს მოსამართლე საქართველოდან. უაღრესად საინტერესო იყო ჩვენი დასწრება ორჰან თურქის (თურქეთი მოქალაქე, რომელიც უჩივის თურქეთის სახელმწიფოს) სასამართლო პროცესზე.

შესანიშნავი ლექციები წაიკითხეს ჩვენმა თანამემამულე პოლიტიკოსებმა__ქალბატონმა ირინა სარიშვილი__ჭანტურიამ თემაზე „სამოქალაქო საზოგადოების პერსპექტივები საქართველოში“ და დავით ბერძენიშვილმა „საქართველოს ადმინისტრაციულ__ტერიტორიული მოწყობა და ევროპული გამოცდილება“.

სტრასბურგში შეხვედრების დაგვირგვინება იყო შეხვედრა ევროპის საბჭოში გენერალური მდივნის მოადგილესთან ჰანს ქრისტიან კრიუგერთან (რომელიც გენერალური მდივნის მოვალეობას ასრულებდა იმ მომენტისათვის), რომელმაც საზეიმო ვითარებაში გადმოგვცა სკოლის სრული კურსის გავლის დამადასტურებელი სერთიფიკატები.

საღამოს გაიმართა ოფიციაულური ბანკეტი. 17 მაისს, დილით გავემგზავრეთ გერმანიაში ქალაქ მაინის ფრანკფურტში, საიდანაც ავია რეისით დავბრუნდით საქართველოს დედაქალაქში.

**--თქვენი ნაამბობიდან რჩება შთაბეჭდილება, რომ თავისუფალი დრო საერთოდ არ გქონდათ. და მაინც არაოფიციალური ნაწილის შესახებ ორიოდე სიტყვა.**

--დიახ, არაოფიციალური ასე ვთქვათ საეკსკურსიო ნაწილისათვის დრო გაცილებით ცოტა იყო, მაგრამ მაინც მოვახერხეთ გვენახა იმ ქალაქების ძირითადი ღირსშესანიშნაობანი, სადაც ვიყავით. განსაკუთრებით ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა რომმა და ჩემთვის ნათელი გახდა „თუ რატომ მიდის ყველა გზა რომში“.

ათი, თხუთმეტი, ოცი და მეტი საუკუნის წინანდელი საკაცობრიო ცივილიზაციის, სახელმწიფოებრივი მშენებლობის, სასულიერო ცხოვრების ადრექრისტიანული ხანის გრანდიოზული ძეგლები, იმპერეტორთა ფორუმები და წმინდანთა ტაძრები, კოლიზეუმი, კაპიტოლიუმი, სანტ ანჟელოს ციხესიმაგრე, დიდი ცირკის არენა, მოედნები, მონუმენტები, ფანტანები, ხიდები...

ვატიკანი__წმიდა პეტრეს ტაძარი, კოლოსალური ნაგებობა, ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბაზილიკა სამყაროში არსებულ ტაძართა შორის, არქიტექტურული, მხატვრული ხელოვნების შედევრები და უწმინდესი რელიგიური რეზიდენცია. ჯან ლორენცო ბერნინის ფანტანები, მოედნის გენიალური კოლონადა, მიქელანჯელოს განთქმული მარმარილოს კომპოზიცია და წმიდა პეტრეს ბრინჯაოს ქანდაკება...

ვატიკანის მუზეუმი__ადრეული ეპოქის და სტილის ქანდაკებათა ნიმუშების კოლექცია__ანტიკური ხანის ხელოვნების აღმაფრთოვანებელი ქმნილებები.

შეუძლებელია აუღელვებლად ნახო ყოველივე ეს. ჩვეულებრივი მოკვდავისათვის რეალობა ეხება და ერწყმება რაღაც ზებუნებრივს, ზეციურს და ლოცვა იღვრება ადამიანის სულიდან. ალბათ, აქ აღსრულდება ყოველი მორწმუნე ქრისტიანის მისტიკური ოცნება!!!

ქალაქი სტრასბურგი__ევროპის დედაქალაქი თანამედროვე ევროპული წყნარი, სუფთა ქალაქია, სადაც ერთ კვარტალში განლაგებულია ევროკავშირის, ევროსაბჭოს, ევროსასამართლოს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეზიდენციები.

14 მაისს თამარ მეფის დღეს მოვინახულეთ წმიდა ქეთევან წამებულის ტაძარი და დავესწარით სადღესასწაულო წირვას, სადაც ჩვენთან ერთად მრავალი ჩვენი თანამემამულე სტრასბურგელი იმყოფებოდა.

არ ვიცი რამდენად შესაძლებელია ერთ საგაზეთო ინტერვიუში იმ შთაბეჭდილებების და განცდების გადმოცემა, რაც ერთი კვირის მანძილზე მჭონდა. ყველა მკითხველს მინდა ვუსურვო ანალოგიური სიკეთე.

გმადლობთ. მომავალ შეხვედრამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „სამშობლო იყო, სამშობლოა ისევ მთავარი...“

### საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს მიეძღვნა.

საინტერესო და მრავალფეროვანი იყო 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელიც ცაგერის ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტმა წარმოადგინა (თამილა ჭაბუკიანი, ნუგეშა კოპალიანი).

მთელი თვით ნაწვიმარმა ცამ სწორედ იმ დილით გამოიდარა და მზემაც გამოანათა. ღონისძიების ადგილი ცაგერის ბულვარი და მთავარი მოედანი გახლდათ და რა თქმა უნდა ყველაფერი ამინდზე იყო დამოკიდებული...

ღონისძიება მასობრივი გარბენით დაიწყო (ღვინის ქარხანა—სარაიონო კულტურის სახლი), სადაც პირველი ადგილი დაიკავა ლასურიაშის სკოლის მოსწავლემ კობა მუშკუდიანმა, მეორე და მესამე ადგილები გაიყვეს ცაგერის სკოლის მოსწავლეებმა ზაზა ხეცურიანმა და ზაზა ნემსწვერიძემ.

სულ ცოტა ხანში მოედანი ერთ დიდ ტილოს მოგვაგონებდა, სადაც ყველა მონაწილე ბავშვი თავისი სურვილის მიხედვით ხატავდა მის წარმოდგენაში არსებულ აბსტრაქტულ თუ ხელშესახებ საგნებს. აქაც გამოვლინდნენ გამარჯვებულები: ჯოკია სალინაძე (ქვ. ცაგერი), ლანა ბერიძე (ზუბი), ირაკლი ბახსოლიანი (ცაგერი).

კონკურსი გრძელდებოდა და ჩვენც, სწორედ, იმ ადგილისაკენ გადავინაცვლეთ, სადაც ყვავილების ნამდვილი ზეიმი იდგა. თვალით ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: ბეგონიები და კაქტუსები სილამაზეში ერთმანეთს ეცილებოდნენ და თავს იწონებდნენ მორცხვი პატარძლებივით. ნათქვამია, მჯობნის მჯობნი არ დაილევაო, მაგრამ აქაც გამოიკვეთა ყვავილების სამი საპრიზო ადგილი, სადაც ადგილები ასე განაწილდა: ელენე სალინაძე, მარია კოპალიანი, ნინო სვანიძე.

ღონისძიება უფრო გაახალისეს ქალაქის საბავშვო ბაღების აღსაზრდელებმა, რომლებმაც ლადო ასათიანის ძეგლთან ლექსები წარმოთქვეს, მოედანზე კი ცეკვები წარმოადგინეს.

აქა-იქ მაყურებლებსა და მონაწილეებს შორის თვალს მოკრავდით ბოშა ქალის კაბაში გამოწყობილ „მკითხავს“—სალომე ბერუჩაშვილს, რომელიც წამსვე მოგაგებებდათ თავის პაწია კალათს „სამკითხაოდ“. ფოსტალიონს—ნანო ახვლედიანს დანიშნულებისამებრ მიჰქონდა წერილები ადრესატამდე.

პარალელურად მიმდინარეობდა სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები: მკლავჭიდში. აბსოლუტური პირველობა ლაშა ჩაფრავამ მოიპოვა. ჭადრაკში გაიმარჯვეს ქეთინო და დათო სალინაძეებმა. სიმძიმეების აწევაში პირველობა არავის დაუთმო შუქრი ჩარკვიანმა, ხოლო მეორე ადგილზე გავიდა ლევან მუშკუდიანი. ბაგირის გადაწევაში კი სკოლებს შორის გაიმარჯვა ცაგერის საშუალო სკოლამ.

ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის წარმომადგენელმა ნუგეშა კოპალიანმა ბოლოს გვაუწყა კონკურსის შედეგები თემაზე: „რანი ვიყავით და რანი ვართ“... ყველაზე საინტერესო თავისი მხატვრულობითა და ორიგინალობით ალპანის სკოლის მეშვიდე კლასის მოსწავლის საბა ფრუიძის ნამუშევარი აღმოჩნდა, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა და გადაეცა ფულადი პრემია (20 ლარი). მეორე ადგილი ერგო ცაგერის სკოლის მეათე კლასის მოსწავლეს გვანცა გუგავას (15 ლარი) მესამე ადგილზე გავიდა ზუბის სკოლის მეათე კლასის მოსწავლე ფიქრია ნემსიწვერიძე (10 ლარი). ჟიურის სიმპათიის პრიზი გადაეცა ალპანის სკოლის მერვე კლასელ მოსწავლეს მედეა მანაგაძეს.

მსურველებმა ღონისძიებისაგან განცდილი ემოციები შთაბეჭდილებათა წიგნის ფურცლებზე ასახეს.

აღსანიშნავია, რომ ღონისძიებას სპონსორობას უწევდა ცაგერის საფოსტო ბანკი (ხელმძღვანელი ნატო სილაგაძე) და სატყეო მეურნეობა (დირექტორი მამუკა ახვლედიანი).

დასასრულს ღონისძიების ორგანიზატორებმა თამილა ჭაბუკიანმა და ნუგეშა კოპალიანმა სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებულებს და აგრეთვე საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს.

❀ ❀ ❀

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ამით არ დამთავრებულა, ემოციებით დატვირთულებმა ცაგერის საშუალოს სკოლის შენობაში გადავინაცვლეთ, იქ არანაკლები სასიამოვნო განწყობა სუფევდა. სკოლის დირექტორი ქალბატონი ნუნუ ჩაკვეტაძე და ზეიმის ორგანიზატორები ღიმილიანი სახეებით ხვდებოდნენ მოწვეულ სტუმრებს. ცაგერის რაიონის გამგებელს ბატონ ონერ ნემსწვერიძეს, მეუფე დავითს, ქალაქის მერს თამაზ ქარსელაძეს, საქართველოს პარლამენტის დეპუტატის ბიუროს თავმჯდომარეს შალვა ცვარიანს, განათლების განყოფილების გამგეს გულივერ ბრეგვაძეს, სოციალურ საკითხთა განყოფილების გამგეს ბონდო კოპალიანს.

ღონისძიებაში მონაწილე მოსწავლეებმა ჩვენს თვალწინ ქრონოლოგიურად წარმოადგინეს წმინდა მეფეთა ცხოვრება, მათი „საგმირო საქმენი“, რომლებსაც მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთი რამ მიაჩნდათ „სახატედ და საფიცრად“—სამშობლო.

ზეიმმა დიდი სიამოვნება მიანიჭა სკოლაში მობრძანებულ სტუმრებს, გასაკვირი აქ არაფერია, მოსწავლეების მომზადებასა და წარმართვაში ხომ მთელ სულსა და გულს აქსოვდა ჩვენი ძვირფასი და გამოცდილი პედაგოგი, ქალბატონი ნინა ჩაკვეტაძე.

შევსცქეროდით ბავშვების გაცისკროვნებულ სახეებს და უნებლიედ ერთი ლექსი გამახსენდა:

**მამაცი რომ ვარ**
**წინაპრების მომდევს ჯავარი,**
**სამშობლო იყო**
**სამშობლოა ისევ მთავარი...**

**ეკა ყვირილიანი.**

# გზა — სავალი დაგილოცავთ

კიდევ ერთხელ იზეიმა ცაგერის №1 საბავშვო ბაღმა, ამჯერად თავისი სამოცდამეათე გამოშვება.

პატარების ჟრიამულით იყო ავსებული ირგვლით ყოველივე პირველ ივნისს, აფუსფუსებული პედაგოგ-აღმზრდელები კი მათ მშვენიერი კონცერტისათვის ამზადებდნენ.

...და სანახაობაც დაიწყო. ერთმანეთს ცვლიდნენ ლამაზი გოგო-ბიჭები, თავიანთი ცეკვებითა და სიმღერებით იპყრობდნენ ჩვენს გულებს.

ქართულ ცეკვებთან ერთად პატარებმა გედების ცეკვაც წარმოადგინეს, რამაც აღაფრთოვანა მაყურებელი.

ქართულ და რუსულ ენაზე შესრულებულ სიმღერებს თვლა აღარ ჰქონდა, რასაც რუსუდან მასწავლებლის მშვენიერი აკომპანიმენტი ალამაზებდა.

ჯგუფის პედაგოგი—ქალბატონი ციცო სვანიძე ბავშვებს თავისი მზრუნველი მზერით ამხნევებდა. მასთან ერთად პატარების მომზადებაში მონაწილეობა მიიღეს მარინა ხმელიძემ, ფიზკულტურის მასწავლებელმა ბელა ნემსაძემ, ქორეოგრაფმა შორენა სოხაძემ, მეთოდისტმა ნათელა კოპალიანმა, აღმზრდელმა ციცო მეშველიანმა.

ყველა ბავშვი საოცრად მუსიკალური ჩანდა, რაც განსაკუთრებით მუსიკის მასწავლებლის, ქალბატონ რუსუდან კოპალიანის დიდი დამსახურებაა, რომელსაც რუსული სიმღერების დახვეწაში ნონა ყაველაშვილი უდგა გვერდით.

სწორედ ესენი გახლავთ ის ადამიანები, რომლებიც აყალიბებენ პატარების გუნებას, შინაგან კულტურას. ისინი ხომ მისაბაძნი უნდა იყვნენ მათთვის. პატარებისათვის უცხოა ყოველგვარი ბოროტება—კეთილი ფერიებით სავსეა სამყარო დღეს.

ზეიმის ბოლოს ბავშვებს სკოლისაკენ მიმავალი გზა ბაღის გამგემ, ქალბატონმა ცარო მეშველიანმა დაულოცა და ოცივე აღზრდილი დაასაჩუქრა. ზეიმის ორგანიზებასა და წარმართვაში ხომ ქალბატონ ცაროს წვლილი ძალიან დიდია.

მან აღნიშნა, რომ ამ საჩუქრებისათვის თანხა ქალაქის მერიამ გამოყო. მოწვეულ სტუმრებს შორის გახლდნენ რაიონის გამგებელი ბატონი ონერ ნემსწვერიძე, ქალაქის მერი ბატონი თამაზ ქარსელაძე, განათლების განყოფილების გამგე—ბატონი გულივერ ბრეგვაძე, პოლიციის უფროსი—ბატონი მირიან მეშველიანი, წარმომადგენლები რაიონის გაგეობიდან და განათლების განყოფილებიდან.

ჩვენც ვულოცავთ პატარებს ამ დღეს, პედაგოგ-აღმზრდელებს კი მრავალი თაობა აღეზარდოთ და მათი სუფთა სულები კიდევ უფრო გაელამაზებინოთ.

**თამარ დავითულიანი.**

❀ ❀ ❀

პატარების ზეიმი საბავშვო ბაღში 5 ივნისს გაგრძელდა, ამჯერად №2 საბავშვო ბაღის აღზრდილები ზეიმობდნენ. იქ შესულებს პირველად თვალი მოგვჭრა პატარების ნაირფერად მოელვარე კაბებმა. მათი მხიარული განწყობილება აღმზრდელ პედაგოგებს მაგული სილაგაძეს ნონა ჩაკვეტაძეს და მშობლებსაც გადასდებოდათ.

ცოტა ხანში კი ზეიმიც დაიწყო...

ერთმანეთს ცვლიდა სიმღერა თუ მათი პაწია გულებიდან ანთებული ლექსები: სიცოცხლეზე, სიყვარულზე, სამშობლოზე.

გოგონებმა საოცარი სინარნარით წარმოგვიდგინეს ცეკვები „სამაია“ და „განდაგანა“. არც ბიჭები დარჩნენ მათ ვალში და დარბაზში ცეკვა „შალახო“ გააჩაღეს. მუსიკალურ გაფორმებას ქალბატონი ნათელა ქომეთიანი უზრუნველყოფდა.

პაწიებმა ჩვენს თვალწინ გააცოცხლეს ძველი თბილისი. ყარაჩოღელები თავიანთი „მუხამბაზითა/ და განიერი შარვლებით, კნეინები კი განუშორებელი ჩიხტი-კოპებით.

ზეიმის სიხარულს იზიარებდნენ გამგეობის, საკრებულოს, განათლების წარმომადგენლები.

დასასრულს საბავშვო ბაღის გამგემ ქალბატონმა ციცო მუშკუდიანმა ცხოვრების გზა დაულოცა მათგან მიმავალ პატარებს და სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

**ეკა ყვირილიანი.**

# „გიხაროდენ ძლევაშემოსილო, დიდო მოწამეო გიორგი“

## (ხვამლობა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

ურობდნენ მთავარეპისკოპოსი ელისე, პრეზიდენტის რწმუნებული მხარეში ირაკლი ფრუიძე, რწმუნებულის მოადგილე დავით დარახველიძე. ცაგერში, ჩვენი სიამაყის__ლადო ასათიანის სახელობის ბაღში სტუმარ-მასპინძელნი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მუსიკალური თუ მხატვრული კომპოზიციების შესრულებაში. დღესასწაულზე და საერთოდ ხვამლის__„მეფეთა საგანძურთ სანახზე“ საინტერესოდ ისაუბრა მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა, ბატონმა ომარ ჭაბუკიანმა.



### „მეფეთ საგანძურთ სანახზე“

შემდეგ კი ჯგუფ-ჯგუფად გავუდექით იმ გზას, რომელიც ტაძართან მიგვიყვანდა“. დამეთანხმებით, ოდითგან ცნობილი „მტრისაგან შეუვალ“ ხვამლის მთაზე ასვლა არც ისე იოლია, მაგრამ ღვთისშეწევნით ჩვენში ღრმად აქვს ფესვები გადგმული რწმენას, სარწმუნოებას, „ღვთისმოშიშობას“, სიყვარულს. სწორედ ამ ფაქტორებმა განაპირობა, დაუღალავად, „წინაპართ მსგავსად“ ზღვის დონიდან 2002 მეტრის სიმაღლეზე გარკვეული მანძილი (და ეს არც ისე ცოტა იყო) ფეხით გაგვევლო. ჩვენი ჯგუფი ახალგაზრდული საქმეთა დეპარტამენტის თაოსნობითა და ორგანიზებით გავუდექით გზას. დავით ულუსა და დავით ნარინის მიერ დალაშქრულ გზებს მივუყვებოდით, რაც სტიმულს გვაძლევდა თითოეულ ჩვენგანს. გზად მომავალნი კი ერთმანეთს ქართველ კლასიკოსთა ლექსებით ვეპაექრებოდით. ჩვენი შემხვედრები კი „ფაფარაყრილ რაშებზე“ ამხედრებული მხედრები იყვნენ, რომელნიც ალიონს ხვამლის მთაზე შეხვდნენ. ნაცნობი თუ უცნობი ერთმანეთს გამარჯვებას, ღვთისწყალობას, სითბოს და სიყვარულს უსურვებდნენ. საოცარია, ამ ადგილებში წელიწადის ყველა დროში გეგონება თავი. მიუყვები დაუსრულებელ სველი მიწითა და ოქროსფერი ფოთლებით აზელილ აღმართებს, რომელიც გვიანი შემოდგომის სურათს იძლევა.

ხვამლზე 1710 მეტრ სამაღლეზე მდებარებს გამოქვაბული, რომელიც „ოროთახიანია“, მარადიული თოვლითა და ყინულის ლოლუებით დამშვენებული, ისეთი გრძნობა გეუფლება, თითქოს წელიწადის ამ ლამაზ დროს ენანება, ვერ ტოვებს ირგვლივ გამეფებულ მშვენირებას.

ბუნების ფერისცვალება უცებ ხდება თვალშისაცემი. ისე ანაზდეულად ევლინება განახლება სამყაროს, ყვავილებში ჩაფლული, დამათრობელი სურნელით გარემოცული, შეუმჩნევლად იპყრობს იქაურობას ზაფხული... და კულმინაცია__ხვამლის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია... ირგვლივ კი „დაბინდულ ქლიავისფერი მთები“... წინათ ამ ადგილზე მონასტერი ყოფილა, სადაც ბერები ცხოვრობდნენ. 1882 წელს მღვდელი იოანე თაგვაძე წერდა: „“ამ თვალწარმტაცი კლდის თავზე არის ნანგრევი ეკლესიისა, გალავანი ეკლესიისა არის ქვის, ამ გალავნის ირგვლის არიან ქვის სახლები. ზოგი, მათგანი თითქმის ახლაც ვარგა კაცი დასადგომად“. ძველი ეკლესიის საფუძველი უცვლელად არის შემონახული... სოფ. ოყურეშის მოსახლეობას იქ პატარა ეკლესია აუშენებია, მაგრამ აღნიშნული ტაძარი საჭიროებს აღდგენით სამუშაობს, სახურავი შეკეთებას. მინდა აქვე აღვნიშნო, რომ „ხვამლის მთის ძირელებმა“__ოყურეშლებმა ტაძარს ხის კარები შესწირეს. გარდა ამისა, იქ დარღვეულია საეკლესია დოგმატით გათვალისწინებული კანონები. კერძოდ, საკურთხევლის, ტრაპეზის ადგილზე შესვლა ვიცით ყველას არ შეუძლია, განსაკუთრებით კი ეს ქალს ეკრძალება. აქ კი ხშირია შემთხვევა, როცა ამ ზღურბლს გადააბიჯებენ და სანთელს ანთებენ.

ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის ჯგუფმა მოვილოცეთ ეს სალოცავი, წმიდა გიორგის დაუჯდომელი ლოცვაც აღვავლინეთ, ირგვლივ კი საამო გალობა იღვრებოდა: „გიხაროდენ ძლევა შემოსილო, დიდო მოწამეო გიორგი“.



**ვახუშტის გადმოცემით, ხვამლის კლდეში „არის ქვაში გამოკვეთილი, მტრისაგან შეუვალი მეფეთ საგანძურთ სანახი“. იქ ახული დავრწმუნდი, რომ ხვამლის მთაზე მართლაც დიდი საგანძური ინახება, რომელსაც ვერავითარი ოქროვერცხლი შეედრება. ეს საგანძური ჩვენი ურყევი რწმენა,__ჩვენი სიყვარულია.**

**P.S.** მინდა შეგახსენოთ, რომ პეტრე-პავლობის მარხვა იწყება 11 ივნისიდან და გასტანს 12 ივლისამდე.

**ეკა ბენდელიანი**

---

**მეგობრის ხსოვნას**

# ლუჩხუმის სახელოვანი შვილები

ორი წლის წინ, 1999 წლის 13 ივნისს, სოფელი მახაშს, მშობლიურ მიწას მიაბარეს ღირსეული მამულიშვილი. გამოჩენილი ქართველი მეცნიერი ბენიამინ გიორგის ძე სილაგაძე.

ამ უაღრესად მოკრძალებულმა განათლებულმა პიროვნებამ სახელოვანი გზა განვლო. დიდი სამამულო ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე ფაშისტურ ურდოებს ებრძოდა. ბერლინის შტურმით აღებაში მონაწილეობდა. 1946 წელს, 20 საბრძოლო ორდენით და მედლით მკერდდამშვენებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე ჩაერიცხა. პირველი კურსიდანვე ხუთოსანმა, უნივერსიტეტი 1951 წელს წარჩინებით დაამთავრა და დატოვებული იქნა ახლო აღმოსავლეთის ისტორიის კათედრაზე. 1962 წლიდან ბენიამინმა მუშაობა გააგრძელა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის წყაროთმცოდნეობის განყოფილებაში წამყვან მეცნიერ თანამშრომლად. 1967 წელს დაიცვა საკანდიდატო და 1973 წელს სადოქტორო დისერტაცია.

ბატონი ბენიამინი წლების განმავლობაში გულმოდგინედ იკვლევდა ქართველი მამლუქების, ქართველი ქულემენების ისტორიას. ირანის, ერაყის, ეგვიპტის და ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების სამეცნიერო ცენტრებში, მუზეუმებში, წიგნთსაცავებში ეძებდა ბედუკუღმართობისაგან სამშობლოსაგან მოწყვეტილ ქართველი ყმაწვილების ტრაგიკულ გზებს.

ხანგრძლივი, დაუღლელი ძიების შედეგად ბენიამინმა მრავალი საინტერესო ნაშრომი გამოაქვეყნა. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია 1967 წელს გამოქვეყნებული „დაუდფაშა“. „ქართველი მამლუქები ეგვიპტის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში“, რომელიც 1984 წელს გამოიცა. არაბული ენის ზედმიწევნითი ცოდნა დაეხმარა მას ეთარგმნა და კომენტირება გაეწია „არაბული წყაროებისათვის“, რომელიც ჩვენი სამშობლოს ისტორიის შესწავლისათვის ფასდაუდებელ განძს წარმოადგენს. ქართველების და არაბების ურთიერთობათა მრავალწლიანი კვლევის შედეგად, 1997 წელს გამოიცა მისი ფუნდამენტური გამოკვლევა „არაბობა საქართველოში“.

მეცნიერების სფეროში მიღწეული წარმატებებისათვის (ის საქართველოში ერთ-ერთი უნიჭიერესი არაბისტი იყო) ბატონი ბენიამინი. დაჯილდოვებული იყო ივანე ჯავახიშვილის მედლით.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომლები ბენიამინ სილაგაძისადმი მიძღვნილ ნეკროლოგში წერდნენ: „ბენიამინ სილაგაძე მუდამ დარჩება ჩვენს მეხსიერებაში, როგორც დიდი მეცნიერი. პრინციპული პატიოსანი, თბილი და გულისხმიერი მოქალაქე“.

სიცოცხლის ბოლო წლებში სულ ნანობდა: „მთელი ახლო აღმოსავლეთი შემოვიარე. ლეჩხუმში იშვიათად მოვდიოდი, ჩემს მშობლიურ მხარეში ბევრმა ჩემი სახელი არც კი იცოდა. სიკვდილის შემდეგ სამუდამო ადგილი ჩემს მშობლიურ მხარეში, ჩემი მამის გვერდით უნდა დავიმკვიდროო“. დანაბარები შეუსრულეს.

მისი ახლობლების, მეგობრების გულში მუდამ ცოცხალი იქნება ბენიამინ სილაგაძის სახელი

**შალვა ცვარიანი**

**27. 05. 2001წ.**

---

## ფოსტა

# კეთილმა ადამიანებმა გადაარჩინეს

დიაბეტით დაავადებული მოხუცი ბაზარში აუცილებელი პროდუქტების შესაძენად გახლდათ. უცებ თავბრუ დამეხვა, ცუდად გავხდი და გონება დავკარგე.

კეთილი ადამიანებს რა გამოლევს. ქალბატონ ნონა ბენდელიანს, ვის კომერციულთანაც დავცემულვარ, ხმაური აუტეხავს, საშველად გერონტი კალანდაძე მოსულა და მანქანით შინ მივუყვანივარ. მეზობლებიც შეყრილან ჩემს გადასარჩენად და სასწრაფოდ საავადმყოფოში გადამიყვანეს.

ფეხზე დადგა რაისაავადმყოფოს მთელი მედპერსონალი ექიმებმა ნათელა, მანანა ხეცურიანებმა, ლია ჩიქოვანმა, ექთნებმა, ჩვენი კუთხის რძალმა თინა ფორჩხიძემ, ყველამ თუ შეიძლება ითქვას, სიკვდილის პირას მისული მოხუცი მომაბრუნეს.

მადლობა ყველას. ღმერთმა ხელი მოუმართოთ.

სამსონ ახვლედიანი,
პენსიონერი, პედაგოგი
ქალაქი ცაგერი

---

## გილოცავთ

**მგეგონარ ძნელაძეს!**

ჩვენო უბერებელო ქალბატონო!
გილოცავთ 60 წლის იუბილეს. გისურვებთ ყოველივე ლამაზს.

**გაზეთი „ახალი ლეჩხუმი“**

**თამილა ახვლედიანს!**

გილოცავთ დაბადების დღეს. დღეგრძელობას, ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს გისურვებთ შენს ლამაზ ოჯახთან ერთად.

**ეკა, ხათუნა, დარეჯან ბენდელიანები**

**თამილა ახვლედიანს!**

გილოცავთ დაბადების დღეს. იყავი მუდამ ასეთი ლამაზი.

**თემურ და ონისე ჩაკვეტაძეები**

---

**რედაქცია პასუხს არ აგებს შემოსულ წერილებზე**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| რედაქტორი<br>თამარ<br>დავითულიანი | პასუხისმგებელი<br>ედიკანი<br>მზევინარ<br>ძნელაძე | სარედაქციო კოლეგია:<br>ეკა ყვირილიანი,<br>მარინა სვანიძე,<br>ეკა ბენდელიანი. | მისამართი:<br>ცაგერი, რუსთაველის<br>№47. ტელ: 22-66 | გაზეთი აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქუთაისის გ. ტაბიძის სახელ[illegible] ს/ს „სტამბაში“<br>ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძ[illegible]<br>ტელ:7-07-80, 7-34-[illegible] |